

მოთხოვნა განაცხადების წარდგენაზე (RFA)

No. 054-3002A-003-S-2018

USAID ზრდა პროექტი საქართველოში

გამოქვეყნდა: 2 ივლისი, 2018

ძვირფასო აპლიკანტო:

USAID ზრდა პროექტი საქართველოში (ზრდა), რომელსაც ახორციელებს Chemonics International, საგრანტო კონკურსის ფარგლებში აცხადებს განაცხადების მიღებას მცირე, საშუალო ზომის და საოჯახო სასტუმროების მფლობელებისთვის. პროგრამის ბენეფიციარებს საშუალება ექნებათ, სრულად ისარგებლონ ციფრული მარკეტინგის ხარჯთეფექტური ინსტრუმენტებითა და მეთოდებით. ზრდა პროექტი, კონტრაქტორი კომპანიის მეშვეობით, სამიზნე რეგიონებში (სამცხე-ჯავახეთის, სამეგრელოს, შიდა ქართლის, ქვემო ქართლის, ახმეტის მუნიციპალიტეტები. იხ. დანართი 5) მოქმედი სასტუმროების მესაკუთრეებს ამ დოკუმენტში განხილულ მომსახურების პაკეტს მიაწვდის:

ზრდა გამართავს წინა-სააპლიკაციო შეხვედრას ქვემოთ მოცემული ინფორმაციის შესაბამისად:

13 ივლისი, 12 სთ - ახმეტა, ლესელიძის ქ. N 36, ზრდა-ს ახმეტის ოფისი

16 ივლისი, 11 სთ - გორი - დემოკრატიული ჩართულობის ცენტრი

17 ივლისი, 11 სთ- ზუგდიდი, ლალიძის ქ. N3, ჰუმანიტარული ცენტრი აფხაზეთის ოფისი

18 ივლისი, 11 სთ - ახალციხე, გვარამიძის ქ. N21 -ზრდა-ს ახალციხის ოფისი

18 ივლისი, 3 სთ - ბორჯომი, რუსთაველის ქ. N 107 ა, სასტუმრო ბორჯომის ხეობა

აპლიკანტებს ასევე შეუძლიათ გამოგზავნონ შეკითხვები ელ-ფოსტაზე: subawards@zrda.ge 2018 წლის 12 ივლისამდე. ყველა პასუხი გამოქვეყნდება ზრდას ფეისბუკ გვერდზე არაუგვიანეს 2018 წლის 17 ივლისისა.

განაცხადები მიიღება ელექტრონულ ფორმატში ელ-ფოსტაზე: subawards@zrda.ge ან დაბეჭდილი ზრდას ოფისებში შემდეგ მისამართზე:

- თბილისი, რამიშვილის ქუჩა #9, I ჩიხი, მე-3 სართული,
- ზუგდიდი, რ. ლალიძის ქუჩა #3
- ახალციხე, გვარამიძის ქუჩა #21,
- ახმეტა, ლესელიძის ქუჩა #9

- მარნეული, რუსთაველის ქუჩა #48
- გორი, სტალინის ქ. #27/1

განაცხადების წარდგენის ბოლო ვადაა 25 ივლისი, ადგილობრივი დროით 18:00 სთ.

დაგვიანებული და შეუსაბამო განაცხადები არ განიხილება.

მნიშვნელოვანი მოვლენები და თარიღები:

წინასააპლიკაციო შეხვედრები:

13 ივლისი, 12 სთ - ახმეტა, ლესელიძის ქ. N 36, ზრდა-ს ახმეტის ოფისი

16 ივლისი, 11 სთ - გორი - დემოკრატიული ჩართულობის ცენტრი

17 ივლისი, 11 სთ- ზუგდიდი, ლალიძის ქ. N3, ჰუმანიტარული ცენტრი აფხაზეთის ოფისი

18 ივლისი, 11 სთ - ახალციხე, გვარამაძის ქ. N21 -ზრდა-ს ახალციხის ოფისი

18 ივლისი, 3 სთ -ბორჯომი, რუსთაველის ქ. N 107 ა, სასტუმრო ბორჯომის ხეობა

შეკითხვების გაგზავნის ბოლო ვადა: 12 ივლისი, 2018, 18:00.

შეკითხვებზე პასუხები გამოქვეყნდება: 17 ივლისი, 2018, 18:00 სთ.-მდე

განაცხადების წარდგენის ბოლო ვადა: 25 ივლისი, 2018, 18:00

ზრდა პროექტის თანამშრომლებს არ აქვთ უფლება მოითხოვონ, ხოლო აპლიკანტებს ეკრძალებათ შესთავაზონ მათ ფული, საკომისიო, გასამრჯელო, წილი, საჩუქარი, ფულადი საჩუქარი, ღირებული ნივთი ან კომპენსაცია იმის სანაცვლოდ, რომ დაუმსახურებლად მოიპოვონ ან მიიღონ ხელსაყრელი პირობები აღნიშნულ მოთხოვნასთან დაკავშირებით. პროექტის თანამშრომლისგან ნებისმიერი შეუფერებელი მოთხოვნის შესახებ უნდა ეცნობოს პროექტის ხელმძღვანელს ან გაიგზავნოს ელექტრონულ ფოსტაზე BusinessConduct@chemonics.com.

წინამდებარე RFA-ს ერთვის დანართები:

- დანართი 1 – გრანტის განაცხადის ფორმა
- დანართი 2 – განხორციელების გეგმის ვადები
- დანართი 3 – აპლიკანტის თვითშეფასების ფორმა
- დანართი 4 – მოთხოვნილი სერტიფიკატები
- დანართი 5 – ზრდას სამიზნე სოფლების სია

ნაწილი I. პროგრამის აღწერილობა

IA. მიზანი

ამ აქტივობის მიზანია, დაეხმაროს კონკურსის წესით შერჩეულ, ზრდას სამიზნე რეგიონებში მოქმედ ბენეფიციარ სასტუმროებს შემდეგი სახის ციფრული მარკეტინგის მომსახურებების მიღებაში:

(ა) დაინტერესებული სასტუმროებისთვის ინდივიდუალური ტრენინგებისა და კონსულტაციების მიწოდება ონლაინ/სოციალურ მედიაში განსათავსებელი შინაარსის (კონტენტის) შექმნასა და საძიებო სისტემის ოპტიმიზაციის (SEO) პრინციპების გამოყენებაზე; (ბ) სასტუმროებისთვის მოკლე, მიმზიდველი აღწერილობების მომზადება დაჯავშნის სისტემებში, ვებ-გვერდებზე, სოციალურ მედიაში განსათავსებლად; (გ) საინფორმაციო ან კომპლექსური ვებგვერდების შექმნა ყველაზე მოტივირებული მესაკუთრეებისთვის მათი საჭიროებებისა და სურვილებისამებრ; (დ) მიდგომებისა და სტრატეგიის შეთავაზება გაყიდვების გაზრდისათვის, ციფრული მარკეტინგის არხებისა და ინსტრუმენტების გამოყენებით, მათ შორის სოციალური და კომერციული რეკლამა; (ე) სარეკლამო მასალების დიზაინი და დაბეჭდვა თითოეული დაინტერესებული ბენეფიციარისთვის, რაც შეავსებს სასტუმროს ციფრული მარკეტინგის სტრატეგიას.

IB. ზრდა პროექტის შესახებ

ზრდა პროექტი არის USAID-ის მიერ დაფინანსებული 5 წლიანი პროექტი, რომელსაც ახორციელებს Chemonics International. პროექტის მიზანია ცხოვრების დონის ამაღლება სამიზნე თემებში და ადგილობრივი სუბიექტების – მოწყვლადი ოჯახებისა თუ მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების (MSMEs) შესაძლებლობებისა და პროდუქტიულობის გაძლიერება, რათა მათ შეძლონ წვლილის შეტანა ფართომასშტაბიან ეკონომიკურ წინსვლაში. ზრდა პროექტი ხელს შეუწყობს მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების (MSMEs) ზრდა-განვითარებას, გაზრდის სოფლის მეურნეობების სარგებლიანობას და წახალისებს მწარმოებლებსა და მყიდველებს შორის საბაზრო კავშირების დამყარებას. შედეგად, ზრდა გაზრდის შემოსავლებს როგორც მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოებისთვის, ისე საოჯახო მეურნეობებისთვის, შექმნის სამუშაო ადგილებს და აამაღლებს ცხოვრების დონეს სამიზნე თემებში.

ზრდა პროექტი აგრძელებს სამიზნე რეგიონებში ტურიზმის სექტორის განვითარების ხელშეწყობას მრავალფეროვანი აქტივობების შეთავაზების გზით (სამცხე-ჯავახეთი, სამეგრელო, შიდა ქართლი, ქვემო ქართლი, ახმეტის მუნიციპალიტეტები); პროექტი ცდილობს დაეხმაროს განთავსების ობიექტებს ციფრული მარკეტინგის ათვისებაში, რაც მათთვის ბიზნესის მართვის ახალ შესაძლებლობებს შექმნის.

სწორედ ამ მიზნით, ზრდა პროექტი, კონტრაქტორი კომპანიის მეშვეობით, სამიზნე რეგიონებში (სამცხე-ჯავახეთის, სამეგრელოს, შიდა ქართლის, ქვემო ქართლის, ახმეტის მუნიციპალიტეტები. იხ. დანართი 5) მოქმედი, კონკურსის წესით შერჩეული სასტუმროების მესაკუთრეებს ციფრული მომსახურებების პაკეტს შესთავაზებს.

IC. პროგრამის დეტალური აღწერა

მცირე, საშუალო და საოჯახო სასტუმროები სრულად ისარგებლონ ციფრული მარკეტინგის ხარჯთეფექტური ინსტრუმენტებითა და მეთოდებით. ზრდა პროექტი, კონტრაქტორი კომპანიის მეშვეობით, სამიზნე რეგიონებში (სამცხე-ჯავახეთის, სამეგრელოს, შიდა ქართლის, ქვემო ქართლის, ახმეტის მუნიციპალიტეტები.) მოქმედი და კონკურსის წესით შერჩეული სასტუმროების მესაკუთრეებს ციფრული მომსახურებების პაკეტს შესთავაზებს.

შენიშვნა: აღსანიშნავია, რომ დაინტერესებულ სასტუმროებს შეუძლიათ მოითხოვონ ჩამოთვლილიდან (ასევე, ცხრილი 1-ში წარმოდგენილი) ყველა ან სულ მცირე ერთი მომსახურება, საჭიროებისა და სურვილისამებრ.

ნაწილი 1: ონლაინ / სოციალური მედიისთვის სარეკლამო მასალების შინაარსის (კონტენტის)

მომზადება საოჯახო, მცირე და საშუალო ზომის სასტუმროებისათვის

- მცირე, საშუალო ზომის და საოჯახო სასტუმროების წარმომადგენლებს ჩაუტარდებათ **ტრენინგები** ონლაინ/სოციალური მედიაში განსათავსებელი სარეკლამო ტექსტებისთვის შინაარსის (კონტენტის) შექმნის **გზებისა და მეთოდების** შესახებ.
- გარდა ამისა, ტრენინგის ფარგლებში მონაწილეები გაეცნობიან ინტერნეტში **საძიებო სისტემის ოპტიმიზაციის პრინციპებს (SEO)**, მათ შორის, სწორი საკვანძო სიტყვების გამოყენებას - მიიღებენ ზუსტ მითითებებს, თუ რაში მდგომარეობს, როდის და როგორ ყალიბდება სწორი მარკეტინგული სტრატეგია: რა შესთავაზონ მომხმარებლებს, რა სიტყვები გამოიყენონ სარეკლამო ტექსტში საძიებო სისტემის ოპტიმიზაციისთვის, დროის რა ინტერვალში და მონაკვეთში ჯობია რეკლამის განთავსება მომხმარებლის მაქსიმალური ყურადღების მისაპყრობად და ა.შ.

- მომსახურება მოიცავს ონლაინ/სოციალური მედიის მომხმარებლის მოზიდვისათვის ინდივიდუალური ტექსტური მასალის მომზადებას, სასტუმროს აღწერას შეთავაზებული პირობების ჩათვლით. აღნიშნული მასალა განკუთვნილი იქნება კომუნიკაციის სხვადასხვა პლატფორმაზე გამოქვეყნებლად. მათ შორის სასტუმროების ონლაინ დაჯავშნის ვებგვერდებზე, (booking.com, airbnb.com, tripadvisor.com), სოციალურ მედიაში განსათავსებლად. მომზადებული ტექსტები ასევე გამოყენებადი იქნება ბეჭდვით სარეკლამო მასალებში - ბეკლეტებში, ფლაერებსა თუ კატალოგებში.
- ბენეფიციართან ერთად შემუშავდება სხვადასხვა სცენარისთვის განკუთვნილი ტექსტები (მაგალითად დაბალი გაყიდვების სეზონისთვის, სპეციალური დასასვენებელი პაკეტების შეთავაზება და ა.შ.). აღნიშნული მასალა მარტივად შეიძლება გამოყენებულ იქნეს სოციალურ მედიაში, ფასდაკლების ბეჭდურ ან ონლაინ კატალოგებში, ლიფლეტებში ან გაყიდვის სხვა პლატფორმებზე. ეს ყველაფერი მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს გაყიდვების ზრდას.
- თითოეული ბენეფიციარისთვის ინდივიდუალურად შემუშავდება განსათავსებელი ტექსტის შინაარსი. საკონსულტაციო კომპანია ბენეფიციართან ერთად შექმნის დიზაინს, შეადგენს სასტუმროს აღწერას შესაბამისი საკვანძო სიტყვებით, რაც შემდეგ განთავსდება სასტუმროების დაჯავშნის ონლაინ პლატფორმებზე, სოციალურ მედიაში ან ვებ გვერდებზე.

ნაწილი 2: ვებგვერდების მომზადება

- საკონსულტაციო კომპანია ბენეფიციარისთვის მოამზადებს საინფორმაციო ვებგვერდს და მისი ონლაინ სივრცეში გაშვებიდან სამი თვის განმავლობაში დაეხმარება თითოეულ ბენეფიციარს გვერდის მართვაში (გაუწევს სატელეფონო საკონსულტაციო მომსახურებას).
- საჭიროების შემთხვევაში საკონსულტაციო კომპანია შექმნის კომპლექსურ ვებგვერდს სასტუმროსთვის მორგებული და ინდივიდუალურ მოთხოვნებზე დაფუძნებული დიზაინით. ვებსაიტი შეიძლება ასრულებდეს შედარებით რთულ ოპერაციებსაც, მაგალითად ნომრის ონლაინ დაჯავშნის ან გადახდის ფუნქციას.

ნაწილი 3: გაყიდვების ზრდა სოციალური მედიის საშუალებით

- საკონსულტაციო კომპანია ბენეფიციარისთვის შეიმუშავებს შესაბამის გეგმასა და მეთოდოლოგიას, რომ სასტუმროების გაყიდვები გაიზარდოს სოციალური

მედიაპლატფორმებზე განთავსებული რეკლამების საშუალებით. აღნიშნული აქტივობები გაზრდის გაყიდვებს მიზნობრივ ბაზარზე.

- აქ იგულისხმება არამხოლოდ საკომუნიკაციო გეგმის შედგენა, არამედ ასევე განსათავსებელი მასალის მომზადებაში დახმარება, როგორც შინაარსობრივი ასევე დიზაინის კუთხით.

ნაწილი 4: სარეკლამო მასალის დიზაინი, მომზადება და დაბეჭდვა

- საკონსულტაციო კომპანია მოამზადებს დიზაინს და დაბეჭდავს სარეკლამო მასალის კომპლექტს თითოეული ბენეფიციარისთვის. მსგავსი კომპლექტი მოიცავს 1000 ცალ A4 ზომის დაკეცილ ბროშურას (tri-fold leaflet), 500 ცალ A4 ზომის ფლაიერს (ორენოვანი ტექსტი წინა და უკანა გვერდებზე), 500 ცალ რვაგვერდიან ფერად ბუკლეტს და ერთ აბრას სასტუმროს ექსტერიერისათვის (იმ ობიექტებისთვის, რომლებსაც ჯერ არ აქვთ მსგავსი აბრა).

ზრდა პროექტი მოახდენს შემოთავაზებული სერვისების 64%-ის სუბსიდირებას. აპლიკანტ სასტუმროებს მოეთხოვებათ ფინანსური კონტრიბუციის გაწევა და, სულ მცირე, მომსახურების ღირებულების 36%-ის დაფარვა (ჩამოთვლილია ქვევით, ცხრილი 1).

ლოტი 1. შინაარსის (კონტენტის) მომზადება მცირე, საშუალო ზომის და საოჯახო სასტუმროებისთვის	ა) ტრენინგი კონტენტის მომზადებაზე	ღირებულება თითო ბენეფიციარზე	2,050.00 ლარი
	ბ) სასტუმროს აღწერა და სარეკლამო მასალების ტექსტები	ღირებულება თითო ბენეფიციარზე	
	სავარაუდო ჯამური ღირებულება თითოეული ლოტისთვის:		
ლოტი 2. ვებ-გვერდების მომზადება	ა) ვებ-გვერდი ონლაინ დაჯავშნისა და გადახდების ინტეგრირებით	ღირებულება თითო ბენეფიციარზე	2,650.00 ლარი
	ბ) ტრენინგი ადმინისტრაციული პანელების მართვაზე	ღირებულება თითო ბენეფიციარზე	
	გ) ინსტრუქციები და ხშირად დასმული კითხვები	ღირებულება თითო ბენეფიციარზე	
	სავარაუდო ჯამური ღირებულება თითოეული ლოტისთვის:		
ლოტი 3. გაყიდვების ზრდა სოციალური მედიის საშუალებით	ა) მაღალი ხარისხის სოციალური მედიის სარეკლამო კამპანიის შემუშავება	ღირებულება თითო ბენეფიციარზე	1,200.00 ლარი
	ბ) გაყიდვების გაზრდის მომსახურების ამუშავება	ღირებულება თითო ბენეფიციარზე	
	სავარაუდო ჯამური ღირებულება თითოეული ლოტისთვის:		
ლოტი 4. სარეკლამო მასალის დიზაინი, მომზადება და დაბეჭდვა	ა) ბრუშურების დიზაინი და დაბეჭდვა (1000)	ღირებულება თითო ბენეფიციარზე	700.00 ლარი
	ბ) ერთგვერდიანი ფლაიერების დიზაინი და დაბეჭდვა(500)	ღირებულება თითო ბენეფიციარზე	350.00 ლარი
	გ) რვაგვერდიანი ბუკლეტების მიწოდება (500)	ღირებულება თითო ბენეფიციარზე	700.00 ლარი
	დ) აბრის დიზაინი და მომზადება (1)	ღირებულება თითო ბენეფიციარზე	950.00 ლარი
	სავარაუდო ჯამური ღირებულება თითოეული ლოტისთვის:		2,700.00 ლარი
ჯამური ღირებულება ყველა ლოტისთვის			8,600.00 ლარი

ბენეფიციარს ასევე მოეთხოვება მოთხოვნილი მომსახურებიდან საკუთარი წილის დღგ-ის გადახდა (მაგ. მომსახურების ღირებულების 36 % დღგ-ის ჩათვლით).

ID. ნორმატიული / მარეგულირებელი რეგლამენტები

ზრდა პროექტის გრანტები ეფუძნება აშშ საგარეო საქმეთა შესახებ კანონისა და USAID-ის წინასწარი დირექტივების სისტემას (ADS). ორგანიზაციებმა უნდა შეასრულონ [ADS თავი 303](#), საფუძველზე წარმოდგენილი სახელმძღვანელო, „გრანტები და თანამშრომლობის ხელშეკრულებები არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის“ და დაექვემდებარონ USAID [სტანდარტული დებულებები აშშ არასამთავრობო მიმღებებისთვის](#), ასევე ზრდას გრანტების გაცემის შიდა პროცედურებს.

ADS 303 მიუთითებს დამატებით მარეგულირებელ დოკუმენტს, რომელიც გამოსცა აშშ-ს მთავრობის მენეჯმენტის და ბიუჯეტის განყოფილებამ (OMB) და აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტომ.

- 2 CFR 200 [ერთიანი ადმინისტრაციული მოთხოვნები, თვითღირებულების პრინციპები, და აუდიტური მოთხოვნები ფედერალური კონტრაქტებისთვის, ქვე-ნაწილი E](#) (აშშ

აპლიკანტები მთლიანად ექვემდებარებიან 2 CFR 200)

2 CFR 200 სრული ტექსტში იხილეთ http://www.ecfr.gov/cgi-bin/text-idx?tpl=/ecfrbrowse/Title02/2cfr200_main_02.tpl

ზრდა-მ უნდა უზრუნველყოს, რომ ყველა ორგანიზაციამ, რომელიც იღებს USAID საგრანტო სახსრებს, შეასრულოს ზემოთ მითითებული სახელმძღვანელო, რომელიც ვრცელდება მათი გრანტების პირობებსა და დებულებებზე.

USAID იტოვებს უფლებას ნებისმიერ დროს მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს, ზრდა პროექტის უფლებამოსილება გრანტების გაცემის ნაწილში.

ნაწილი II. ინფორმაცია გრანტზე

ზრდა პროექტი გეგმავს ხელშეკრულებების გაფორმებას სუბსიდირების შესახებ. გრანტის საბოლოო ოდენობა დამოკიდებული იქნება ზრდა პროექტის მიერ დამტკიცებულ მოთხოვნილ მომსახურებებზე (იხ. ცხრილი 1), გრანტის მიმღებთა აქტივობებსა და საბოლოო მოლაპარაკებებზე. საგრანტო თანხის მოცულობა შესაძლოა აღმოჩნდეს უფრო ნაკლები, ვიდრე

მითითებული თანხა, მაგრამ არ გადააჭარბებს მას. გრანტის განხორციელებისთვის გათვალისწინებულია გრანტის გაცემიდან 12 თვე. გრანტის განხორციელების დაწყების სავარაუდო თარიღია 2018 წლის 1 აგვისტო.

ფინანსური კონტრიბუცია: ყველა აპლიკანტი ვალდებულია, დაფაროს მთლიანი საგრანტო ბიუჯეტის 36% (მომსახურების 36% და დღგ) ფულადი სახით. ფინანსური კონტრიბუცია განაცხადით გათვალისწინებული მომსახურებების ღირებულებების ნაწილს ანაზღაურებს. აპლიკანტი ფინანსურ კონტრიბუციას გასცემს მომსახურების მიღებამდე, მომსახურების მომწოდებლის საბანკო ანგარიშზე თანხის გადარიცხვით.

ნაწილი III კონკურსზე დაშვების წინაპირობები

III.A. კონკურსზე დასაშვებად:

- აპლიკანტი – მცირე ან საშუალო ზომის სასტუმრო უნდა იყოს საქართველოში რეგისტრირებული ობიექტი; ოფიციალურად შემდგარი, გამართული სამართლებრივი მდგომარეობით და აღიარებული საქართველოს სამთავრობო უწყებების მიერ. ის უნდა შეესაბამებოდეს ყველა მოქმედ სამოქალაქო და ფისკალურ რეგლამენტს. კერძო კომპანია სულ მცირე 51%-ით ქართულ მფლობელობაში უნდა იყოს.
- ამ გრანტის მიზნებიდან გამომდინარე, მცირე და საშუალო ზომის სასტუმროებად მიჩნეულია მინიმუმ 8 და მაქსიმუმ 50 ნომრიანი განთავსების ობიექტები
- განაცხადის წარდგენის მომენტში, აპლიკანტი სასტუმრო უნდა იყოს დარეგისტრირებული ჩამოთვლილიდან სულ მცირე ერთ საერთაშორისო, ონლაინ დაჯავშნის სისტემაში (მაგ, booking.com, Airbnb.com, tripadvisor.com).
- აპლიკანტმა უნდა გამოამყვანოს ზემოთ მოცემული (ცხრილი 1)-ში ფინანსური კონტრიბუციის – მომსახურების ღირებულების 40 %-ის დაფარვის ნება და მზაობა.
- ამ მოთხოვნის საფუძველზე გაცემული ნებისმიერი ისეთი გრანტის შემთხვევაში, რომელიც არ არის წარმოდგენილი ნატურით და/ან შეადგენს ან აჭარბებს 25 000 ამერიკულ დოლარს, გრანტის მიმღებ პირებს მოეთხოვებათ, რომ საგრანტო
- ხელშეკრულებაზე ხელმოწერის მომენტამდე წარმოადგინონ მონაცემთა უნივერსალური ნუმერაციის სისტემით (DUNS) მინიჭებული ნომერი. თუ აპლიკანტს აქვს DUNS ნომერი, ის უნდა მითითებულ იქნას განაცხადში. წინააღმდეგ შემთხვევაში, აპლიკანტები ვალდებული არიან, აიღონ ნომერი გრანტის მიღების მომენტამდე. *ზრდა პროექტი* დაეხმარება წარმატებულ აპლიკანტებს DUNS ნომრის მიღების პროცესში. ამ ნომრის

მიღება შესაძლებელია ინტერნეტით შემდეგ ვებ გვერდზე:
<http://fedgov.dnb.com/webform/pages/CCRSearch.jsp>

ნაწილი IV – განაცხადის შევსება და წარდგენა

IVA. ინსტრუქციები აპლიკანტებისთვის

აპლიკანტმა უნდა წარმოადგინოს სტრატეგიები ზემოთ აღწერილი პროგრამის განსახორციელებლად, მათ შორის ინოვაციური მიდგომები, რომლებიც შეესაბამება მათი ორგანიზაციის ძლიერ მხარეებს.

IVA1. აპლიკანტის თვითშეფასება

გრანტის მიმღებ ყველა ორგანიზაცია გაივლის წინა საგრანტო რისკების შეფასების პროცედურას, რომელიც ჩატარდება ზრდა პროექტის მიერ. ამ პროცედურის მიზანია იმის დადგენა, აქვს თუ არა ორგანიზაციას ის მინიმალური შესაძლებლობები, რომლებიც აუცილებელია აშშ სამთავრობო სახსრების განკარგვისთვის. აპლიკანტის თვითშეფასების ფორმის შევსება არის პირველი ეტაპი წინა საგრანტო რისკების შეფასების პროცესში. აპლიკანტის თვითშეფასების ფორმა მოცემულია ამ მოთხოვნას თანდართულ დოკუმენტში (დანართი 3).

აპლიკანტებს, რომელთა განაცხადები სრულადაა შევსებული და აკმაყოფილებს ან აჭარბებს შესაბამისობის შეფასების კრიტერიუმებს, მომდევნო ეტაპების შესახებ ეცნობებათ განაცხადის განხილვის პროცესში.

IVA2. საგრანტო განაცხადი

აპლიკანტებმა უნდა წარმოადგინონ შევსებული საგრანტო განაცხადი. განაცხადის ფორმა თანახლავს ამ მოთხოვნას (დანართი 1).

განაცხადი ხელმოწერილი უნდა იყოს აპლიკანტის უფლებამოსილი პირის მიერ.

IVA3. ხარჯები, რომლებიც არ ანაზღაურდება ზრდა პროექტის მიერ:

ზრდა პროექტის გრანტის ფარგლებში მიღებული სახსრები არ შეიძლება გამოყენებულ იქნას შემდეგი აქტივობებისთვის:

- მშენებლობა ან ნებისმიერი სახის ინფრასტრუქტურული საქმიანობა. მშენებლობა ასევე მოიცავს სარემონტო სამუშაოებს, რეკონსტრუქციას, გადაკეთებას და აღდგენის ხარჯებს.
- ცერემონიების, საღამოების, დღესასწაულების ან წარმომადგენლობითი ხარჯები.
- შეზღუდული საქონლის შესყიდვები, როგორცაა: შეზღუდული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები, ავტომობილები მათ შორის მოტოციკლები, ფარმაცევტული პრეპარატები, სამედიცინო მოწყობილობები, კონტრაცეპტივები, მეორადი აღჭურვილობა; ზრდა პროექტის წინასწარი ნებართვის გარეშე მოპოვებულ, ან აკრძალული საქონელი, აკრძალული საქონელი USAID რეგულაციების თანახმად, მათ შორის და არა მხოლოდ შემდეგი: აბორტის მოწყობილობა და მომსახურებები, ფუფუნების საგნები და სხვა.
- ალკოჰოლური სასმელები.
- იმ საქონლის ან მომსახურებების შესყიდვა, რომელიც იზღუდება ან იკრძალება USAID წყარო / წარმოების ადგილი მოქმედი რეგულაციის შესაბამისად, (ბირმა (მიანმა), კუბა, ირანი, ჩრდილოეთ კორეა, (ჩრდილოეთ) სუდანი და სირია).
- ნებისმიერი შესყიდვა ან საქმიანობა, რომელიც უკვე განხორციელებულია.
- შესყიდვები ან საქმიანობები, რომელთა შესრულება არ ემსახურება ზრდა პროექტის გრანტით განსაზღვრულ მიზნებს.



- გრანტის მიმღების წინა (გრანტის მიღებამდე) ვალდებულებები და/ან ვალეები, საურავები და პირგასამტეხლოები.
- შემოწირულობების ფონდების შექმნა.

IVB. განაადის წარდგენა

განაცხადები წარდგენილ უნდა იქნას ინგლისურ ან ქართულ ენაზე და მათი მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 15 გვერდს.

განაცხადების წარდგენა/ჩაბარება შესაძლებელია ელექტრონულად შემდეგ ელექტრონულ ფოსტაზე: subawards@zrda.ge და/ან ბეჭდური ფორმით ზრდა პროექტის ოფისებში, შემდეგ მისამართებზე:

- თბილისი, რამიშვილის ქუჩა #9, I ჩიხი, მე-3 სართული,
- ზუგდიდი, რ. ლალიძის ქუჩა #3
- ახალციხე, გვარამიძის ქუჩა #21,
- ახმეტა, ლესელიძის ქუჩა #9
- მარნეული, რუსთაველის ქუჩა #48
- გორი, სტალინის ქ. #27/1

განაცხადში აუცილებლად უნდა მიეთითოს მოთხოვნის (RFA) ნომერი: **054-3002A-003-S-2018**.

განაცხადების წარდგენის ბოლო ვადაა 25 ივლისი, ადგილობრივი დროით 18:00 სთ.

დაგვიანებული ან შეუსაბამო განაცხადები არ განიხილება.

შევსებული განაცხადის ფორმისა და ბიუჯეტის გარდა, აპლიკანტებმა უნდა წარადგინონ შემდეგი დოკუმენტები (მოცემულია დანართების სახით):

- განხორციელების გეგმა

- ხელმოწერილი და დათარიღებული მოთხოვნილი მოწმობები (სექცია III.A)
- აპლიკანტის თვითშეფასების ფორმა

ნაწილი V. განაცხადის შეფასება

VA1. განაცხადის შეფასების კრიტერიუმები

ყველა განაცხადს განიხილავს ზრდა პროექტის ტექნიკური იმპლემენტაციის გუნდისგან შემდგარი შეფასების შიდა კომიტეტი, რეკომენდაციები კი შესაძლოა შემოწმდეს უფრო მოზრდილი ჯგუფის მიერ. კონცეპციები შეფასდება აქტოვობის მენეჯერის შემოთავაზებული კრიტერიუმების საფუძველზე.

სრულად შევსებული განაცხადები შეფასდება ცხრილში მოცემული კრიტერიუმების მიხედვით:

შეფასების კრიტერიუმები	მაქსიმალური ქულა - 100
1. ტექნიკური წინადადებების შესაბამისობა RFA-ს მოთხოვნებთან	20
ტექნიკური წინადადება ცხადყოფს, რომ აპლიკანტი აცნობიერებს მოცემული RFA-ს მიზნებს	20
2. შესაბამისი გამოცდილება მოცემულ სექტორში და ბენეფიციართა რაოდენობა	40
აპლიკანტი ფლობს ცოდნას ტურიზმის სექტორში და აქვს გამოცდილება სასტუმროს ადმინისტრირებაში	20
პოტენციური ბენეფიციარების მოსალოდნელი რაოდენობა	20
3. ფინანსური კონტრიბუცია	40

ფინანსური კონტრიბუცია/თანადაფინანსება აპლიკანტის მხრიდან	40
--	----

დამატებით, ზრდა პროექტი შეამოწმებს საგრანტო პროექტის ეკოლოგიურ თავსებადობასა და შესაბამისობას პროექტირებისა და განხორციელების ეტაპებზე, როგორც ამას ითვალისწინებს 22 CFR 216.

ნაწილი VI. ინფორმაცია გრანტის მიღებისა და ადმინისტრირების შესახებ

ყველა გრანტი ექვემდებარება საბოლოო მოლაპარაკებას, დაითვლება და გაიცემა *ქართულ ლარში*.

გრანტის ფარგლებში გაწეული ყველა ხარჯი უნდა იყოს დასაშვები, დათვლადი და გონივრული/მიზანშეწონილი.

წინამდებარე მოთხოვნის გამოქვეყნება და განაცხადის შევსების პროცესში დახმარება არ გულისხმობს ზრდა პროექტის მიერ გრანტის გაცემას და არ ავალდებულებს მას აპლიკანტების მიერ განაცხადის მომზადებასა და წარდგენაში გაწეული ხარჯების დაფარვას. გარდა ამისა, ზრდა პროექტი უფლებას იტოვებს მიიღოს ან დაიწუნოს ნებისმიერი ან ყველა მიღებული განაცხადი და უფლებამოსილია მოითხოვოს დამატებითი განმარტებები განმცხადებლებისაგან. აპლიკანტებს წერილობით ეცნობებათ განაცხადების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების შესახებ.

დანართები:

- დანართი 1 – გრანტის განაცხადის ფორმა
- დანართი 2 – განხორციელების გეგმის ვადები
- დანართი 3 – აპლიკანტის თვიშეფასების ფორმა
- დანართი 4 – მოთხოვნილი სერტიფიკატები
- დანართი 5 – ზრდას სამიზნე სოფლების სია